თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2441631

ნომერი: AR1377680

თარიღი : 11.02.2016

გაცემის თარიღი : 18.02.2016

გაცნობის თარიღი : 19.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 50 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა შავაძე პ/ნ 61009000108
- დ. ხულო დ.აღმაშენებლის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1377680 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას ქ. თბილისში, სამტრედიის ქ. #50-ში, #01.13.05.001.063 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დადგენილი გაპის, შეთანხმებული საბოლოო პროექტის და მთავარი არქიტექტორის შესახებ.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სამტრედიის ქ. #50-ში, #01.13.05.001.063 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთისათვის, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 23.05.2006წ. #ხ-1/3 რეგისტრაციით დადგინდა ქალაქმშენებლობითი პირობები.

2013 წლის 20 მაისის #680104 ბრძანებით ქ. თბილისში,სამტრედიის ქ. #50-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ #01.13.05.001.056, #01.13.05.001.062, #01.13.05.001.063) შეთანხმდა მრავალფუნქციური (საოფისე, სავაჭრო, საცხოვრებელი) შენობის A, B და C ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული პროექტის მთავარ არქიტექტორად ფიქსირდება ა. ხეჩუაშვილი (ორგანიზაცია შპს "ტერიტორიათა განვითარების სააგენტო თბილქალაქპროექტი").

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.